პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფინანსური ბაზრების განვითარების დონე

ინგა ღონღაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის საბანკო და საფინანსო საქმეში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნიკა მეგუთნიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ინგა ღონღაძე

16.06.2022

აბსტრაქტი

ფინანსური ბაზრები ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ვინაიდან მათი მეშვეობით ეკონომიკაში რესურსების ეფექტურად განაწილება ხორციელდება. დღესდღეობით საკმაოდ ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული ფინანსური ბაზრები, რაც აფერხებს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ვინაიდან აღნიშნული საკითხი აქტუალურია, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დაზუსტდეს საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სხვა ქვეყნებში ფინანსური ბაზრების განვითარების დონე და განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები. განსახილველი ქვეყნების შესარჩევად გამოყენებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე და განხილულია საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა და ბელარუსი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გაანალიზებულია ჩამოთვლილი ქვეყნების ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების განვითარების დონე საერთშორისო ორგანიზაციების კვლევების და სტატიკური მონაცემების საფუძველზე. შემოთავაზებულია რეკომენდაციები ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ საკვლევ ქვეყნებში ფინანსური ბაზრების განვითარების დონე დაბალია, რის მიზეზთა შორის შესაძლოა დასახელდეს არაეფექტური სამართლებრივი ჩარჩოები, ბაზრის ინფრასტრუქტურა, ქვეყნების არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, კვალიფიციური ადამიანური რეურსების დეფიციტი და ინვესტორთა მწირი ბაზა.

ძირითადი სძიებო სიტყვები: ფინანსური ბაზრები, ფინანსური ინსტიტუტები, რეგულაცია, ეკონომიკა, საფონდო ბირჟა, ეროვნული ბანკი, ღია ვაჭრობა.

Abstract

Financial markets play one of the most important role in the development of the economy, because they ensure the efficient allocation of resources in the economy. Today financial markets in many countries are not developed and that fact hinders the improvement of the economic and social conditions.

Since the mentioned issue is topical, the aim of the master's thesis is to clarify the level of financial market's development in Georgia and other post-soviet countries and the obstacles to development. To select the countries under consideration, is used gross domestic product per capita and were selected Georgia, Azerbaijan, Armenia, Ukraine, Moldova and Belarus.

For research purposes the development's level of the financial markets and institutions of the listed countries is analyzed based on the research and statistic data of international organizations.

The research process revealed that financial markets development level in the research countries is low, which may have caused by ineffective legal frameworks, market infrastructure, volatile political and economic conditions in countries, lack of qualified human resources and a small base of investors.

Keywords: Financial Markets, Financial Institutions, Regulation, Economics, Stock Exchange, National Bank, Open trading.